ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი
№1

ქალაქი ქუთაისი

30 ივლისი 2020 წელი

სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

იუზა უგულავა	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი.
დავით ნიშნიანიძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, თავმჯდომარის მოადგილე.
ბექა ყურაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
თინათინ ბერიშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი, კომისიის წევრი.
ცისმარდი მაღლაფერიძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების ხელმძღვანელი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ირაკლი ადეიშვილი შვებულებაში ყოფნის გამო.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე საშუალებით, ქალაქ ქუთაისში, #28 საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა: 110232 (ას ათი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სატენდერო კომისიის წევრის თინათინ ბერიშვილის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე საშუალებით, ქალაქ ქუთაისში, #28 საბავშვო ბაღის სამზარეულოსა და სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის (შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა: 110232 (ას ათი ათას ორას ოცდათორმეტი) ლარი) მიზნით, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი,

2) სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: https://tenders.procurement.gov.ge.

3) წინამდებარე სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე–6 მუხლის მე–6 პუნქტის შესაბამისად ატვირთული იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: **იუზა უგულავა**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **დავით ნიშნიანიძე**

კომისიის წევრები:

ბექა ყურაშვილი

Kutaisi City Municipality

Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=..... ....., c=GE
Date: 2020.07.30 16:44:47 +04'00'

თინათინ ბერიშვილი

ირაკლი გიორგაძე

აპარატის წევრები:

ცისმარდი მაღლაფერიძე